



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„კამტიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

29 დეკემბერი 2021 წელი

№58/36

ეგზ.: №1

ქობულეთის მუნიციპალიტეტის
2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	3
	შემაჯამებელი მიმოხილვა	4
	რეკომენდაციები	6
	1. შესავალი	8
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	8
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	8
	აუდიტის საგანი	8
	აუდიტის მასშტაბი	8
	აუდიტის კრიტერიუმები	9
	აუდიტის მიზანი	10
	აუდიტის მეთოდოლოგია	10
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	11
	2. აუდიტის მიგნებები	12
დანართები	დანართი	33
	საკონტაქტო ინფორმაცია	34

ტერმინები და შემოკლებები

მერია – ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია.

საკრებულო – ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

ა(ა)იპ – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

მუნიციპალური ორგანიზაცია – ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაფუძნებული იურიდიული პირი.

შემსყიდველი ორგანიზაცია – ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით შესყიდვის განმახორციელებელი პირი, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

შემაჯამებელი მიმოხილვა

ადგილობრივი ბიუჯეტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

ფინანსური რესურსების მართვის ხარვეზები

2019-2020 წლებში ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან აუთვისებული დარჩა 6,931,908 ლარის საბიუჯეტო რესურსი, რაც პროექტების დაგეგმვაში არსებულ ხარვეზებსა და საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიან მართვაზე მიუთითებს.

სახელმწიფო შესყიდვები

სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის ნაკლოვანებები

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების სათანადო დაგეგმვა-განხორციელებას, რაც ბაზრის კვლევის ნაკლოვანებებში, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის არსებით ხარვეზებსა და, შესაბამისად, ხელშეკრულებებში განხორციელებულ ხშირ ცვლილებებში გამოიხატება. შედეგად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ზედმეტად გადახდილია 46,427 ლარი, ასევე გაწეულია არანაკლებ 70,831 ათასი ლარის არაეკონომიური ხარჯი.

შერჩევა-შეფასების ნაკლოვანებები

სატენდერო პირობების შემუშავებისა და ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა შერჩევასთან დაკავშირებით, მერიაში არსებული შიდა კონტროლის მექანიზმი ვერ უზრუნველყოფს სატენდერო პირობების ოპტიმალურ განსაზღვრასა და პრეტენდენტთა ობიექტურ შეფასებას. შედეგად, ოთხ შემთხვევაში 9,553,900 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვაზე ფიქსირდება კონკურენციის შეზღუდვისა და პრეტენდენტთა არაერთგვაროვანი შეფასების ფაქტები, რითაც მუნიციპალიტეტმა მნიშვნელოვანი ეკონომიის მიღების შესაძლებლობა დაკარგა.

გარე განათების ტექნიკური მომსახურების შესყიდვის ხარვეზები

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ გარე განათების ტექნიკურ მომსახურებაში 2019-2020 წლებში გადახდილია 717,506 ლარი, რაზეც ხარჯის გაწევის დამადასტურებელი სრულყოფილი დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, გაწეული მომსახურების დოკუმენტურად დაუდასტურებელი მოცულობა და სხვა გარემოებები წარმოშობს საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის რისკებს.

შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლის ნაკლოვანებები

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით შესრულებულ 8,662,030 ლარის ღირებულების სხვადასხვა შესყიდვაში გამოვლენილია ხარვეზები, რაც არაჯეროვნად შესრულებულ სამუშაოებსა და ჩატარებულ ექსპერტიზაზე/ინსპექტირებაზე მიუთითებს. ამასთანავე, მონიტორინგის პროცესის არაეფექტიანობის გამო, საგარანტიო ვადებში ხარვეზების შეუმჩნელობა, შემდგომში, დამატებითი საბიუჯეტო ხარჯების გაწევის რისკებს წარმოშობს.

მუნიციპალური აქტივების მართვა

აქტივების მართვის ხარვეზები

ქობულეთის მუნიციპალიტეტს არ ჩაუტარებია ბალანსზე რიცხული 212,231,482 ლარის ღირებულების უძრავი ქონების, ფინანსური აქტივების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. ასევე მუნიციპალიტეტის მერიის მიერ არ არის აღრიცხული სხვადასხვა სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში ქონების

დემონტაჟის შედეგად მიღებული ვარგისი მატერიალური აქტივები, რაც ქონების დაზიანების ან მესამე პირთა მიერ არამართლზომიერი სარგებლობის რისკებს წარმოშობს.

შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურების ნაკლოვანებები

ქობულეთის მუნიციპალიტეტში 2019 - 2020 წლებში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, გაზრდილია შრომის ანაზღაურების ფონდი. აგრეთვე მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს ფაქტობრივად ნამუშევარი დროის აღრიცხვის სისტემა, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული პირები მიიღებოდნენ მუდმივი ამოცანების შესასრულებლად, ხოლო მათ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულება დოკუმენტურად არ დასტურდება. ზემოაღნიშნული შიდა კონტროლის სისტემის სისუსტეზე მიუთითებს და საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურად ხარჯვის რისკებს შეიცავს.

ტრანსპორტის ხარჯები

ტრანსპორტის ხარჯების ნაკლოვანებები

მუნიციპალური ავტოპარკის მართვასთან დაკავშირებით რეგულაციის არარსებობის გამო, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 19,560 ლარის ღირებულების საწვავის სამსახურებრივი დანიშნულებით ხარჯვა არ დასტურდება. ასევე ა(ა)იპ - ქობულეთის სანდასუფთავების მიერ სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებით გაწეულია არანაკლებ 11,167 ლარის არაეკონომიური ხარჯი.

სასმელი წყლის ხარისხის შიდა კონტროლი და მონიტორინგი

მონიტორინგის ნაკლოვანებები

ა(ა)იპ - ქობულეთის სოფლის წყლის მიერ სათანადოდ არ ხორციელდება სასმელი წყლის ხარისხის კონტროლი და მონიტორინგი, რაც ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემის სისუსტეზე მიუთითებს და წარმოშობს საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანი ხარჯვის რისკებს.

დასუფთავების მოსაკრებელი

მოსაკრებლების ადმინისტრირების ხარვეზები

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ სრულად არ არის აღრიცხული სულადობრივი განაკვეთის მიხედვით დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა რაოდენობა და შედეგად, არ ხორციელდება გადასახადის ადმინისტრირება.

საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურება

დასაბუთების გარეშე ხარჯების ანაზღაურება

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2019-2020 წლებში მოქმედი მარეგულირებელი ნორმების შეუსაბამოდ, დოკუმენტური დასაბუთების გარეშე, საკრებულოს არათანამდებობის პირებზე გადახდილია ჯამში 238,975 ლარი.

შიდა კონტროლის სისტემა

შიდა კონტროლის ნაკლოვანებები

მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემა სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შესრულების მონიტორინგის, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის და ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობას.

რეკომენდაციები

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას

რეკომენდაცია N1. საბიუჯეტო რესურსების ეფექტიანი მართვისთვის, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურული პროექტების გარემოებათა დეტალური შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე დაგეგმვას, ხოლო პროექტების განხორციელების შეფერხების შემთხვევაში, მიზეზების დროულ იდენტიფიცირებას და რეაგირებას.

რეკომენდაცია N2. შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ადეკვატურად განსაზღვრისა და საჯარო სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველსაყოფად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ შეიმუშაოს ეფექტიანი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შესყიდვების მომზადების ეტაპზე ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაციის სათანადო შესწავლასა და ანალიზს, ყველა რელევანტური პირობის (მოცულობა, წარმოშობის ქვეყანა, ანგარიშსწორება, მიწოდების ვადა, საგარანტიო ვადა და ა.შ.) გათვალისწინებით. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა თითოეულ შემთხვევაში გამოიკვლიოს არაეკონომიური ხარჯის გაწევის მიზეზები და გაატაროს ეფექტიანი ღონისძიებები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ზედმეტად გადახდილი 46,427 ლარის ბიუჯეტში დაბრუნების უზრუნველსაყოფად.

რეკომენდაცია N3. შესყიდვებში მონაწილე პირთა მიმართ გამჭვირვალე, ერთგვაროვანი მიდგომისა და ფინანსური სახსრების ეკონომიური ხარჯვის უზრუნველსაყოფად, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შეიმუშაონ და დანერგონ ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სატენდერო კომისიების მიერ ყველა შესაფერისი დოკუმენტის სრულყოფილად შესწავლას და ადეკვატური გადაწყვეტილების მიღებას.

რეკომენდაცია N4. მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს შიდა კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს გარე განათების სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას და გამორიცხავს საბიუჯეტო სახსრების დაუსაბუთებელ და არარაციონალურ ხარჯვას.

რეკომენდაცია N5. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც მიწოდებული სამშენებლო სამუშაოების რეგულარული მონიტორინგით უზრუნველყოფს ხარვეზების დროულად გამოვლენას და საგარანტიო მექანიზმების ამოქმედებას. ამასთანავე, თითოეულ შემთხვევაში გამოიკვლიოს არაჯეროვნად შესრულებული სამუშაოების გამომწვევი მიზეზები და გაატაროს სათანადო ღონისძიებები.

რეკომენდაცია N6. საჯარო ქონების ეფექტიანი მართვისთვის, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში/მართვაში არსებული ყველა ქონების აღწერას, მის ღირებულებით შეფასებას და ბალანსზე ასახვას, ხოლო არარსებული ქონების ბალანსიდან ჩამოწერას, შესაბამისი პროცედურებით.

რეკომენდაცია N7. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც ადამიანური რესურსების ოპტიმალური გამოყენებით უზრუნველყოფს საბიუჯეტო რესურსების ეფექტიან განკარგვას, ასევე თანამშრომელთა სამსახურში ყოფნისა და სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დადასტურებას.

რეკომენდაცია N8. ავტომობილების საჭიროების მიხედვით გადანაწილებისა და ავტოპარკზე გასაწევი ხარჯების შემცირების უზრუნველსაყოფად, მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს ტრანსპორტის ხარჯების ოპტიმიზაციის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ავტოპარკის ოპტიმალური გადანაწილების, კლასიფიცირების, ზღვრული ოდენობისა და ხარჯების კონტროლს და უზრუნველყოფს, თავიდან იქნეს აცილებული საწვავის არასამსახურებრივი მიზნებისათვის გამოყენების შემთხვევები.

ა(ა)იპ – ქობულეთის წყალს

რეკომენდაცია N9. ა(ა)იპ – ქობულეთის სოფლის წყალმა, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიასთან კოორდინაციით, შეიმუშაოს შიდა კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სასმელი წყლის მიწოდების ხარვეზების დროულ გამოვლენას, მიზეზების შესწავლას და ადეკვატურ რეაგირებას, ასევე წყლის ხარისხის რეგულარულ მონიტორინგს.

ქობულეთის
მუნიციპალიტეტის მერიას

რეკომენდაცია N10. დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების გასაუმჯობესებლად, მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა სრული ბაზის შექმნას, მათ შორის, დიფერენცირებული განაკვეთის მიხედვით. აღნიშნული ხელს შეუწყობს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ქობულეთის
მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

რეკომენდაცია N11. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. შესაბამისად, ხარჯების ანაზღაურება განხორციელდეს სათანადო დოკუმენტების წარმოდგენის პირობებში.

ქობულეთის
მუნიციპალიტეტის მერიას

რეკომენდაცია N12. მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს და დანერგოს შიდა კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პროცესებში არსებული რისკებისა და სისტემური ხარვეზების გამოვლენას, ანალიზსა და შეფასებას, ხოლო მიღებული შედეგების საფუძველზე, შესაბამისმა სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები და განახორციელოს შესრულების ეფექტიანი მონიტორინგი.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ასევე, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2019-2020 წლებში გაწეული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2019-2020 წლებში საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში გაწეული საქმიანობის, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქონების განკარგვისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული სუბიექტების მართვის მიმართულებების მომწესრიგებელ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. შესაბამისობის აუდიტმა მოიცვა მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების ბიუჯეტების გადასახდელები, ჯამში 68,011,879 ლარი.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

-)/ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.
-)/ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“.
-)/ საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსი.
ართველოს კანონი საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი.
საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის დადგენილება N211 „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის დადგენილება N203 „პროფესიული საჯარო მოხელის წახალისების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის დადგენილება N215 „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის დადგენილება N219 „პროფესიული საჯარო მოხელისათვის მოხელის კლასების მინიჭების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის დადგენილება N26 „ავტოსატრანსპორტო საშუალებების წლოვანების ან/და გარანტიის პირობების დადგენის შესახებ, რომელთა ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა შესაძლებელია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი – სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესი“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის ბრძანება N605 „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის ბრძანება N99 „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“;

	)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის ბრძანება N385 „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“.)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ინსტრუქცია ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“.)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“.)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“.)/ ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტი.)/ ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტი.
აუდიტის მიზანი	ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.
აუდიტის მეთოდოლოგია	აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:)/ დოკუმენტური შემოწმება;)/ მონაცემთა ანალიზი;)/ ფიზიკური დათვალიერება;)/ ინტერვიუ.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ქობულეთის მუნიციპალიტეტი საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელსაც აქვს ქონება, ბიუჯეტი, არჩევითი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, ასევე საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის 2019 წლის შემოსულობებმა შეადგინა 37,546,524 ლარი, გადასახდელებმა – 34,427,299 ლარი, ხოლო 2020 წლის შემოსულობებმა – 33,342,426 ლარი, გადასახდელებმა – 33,584,580 ლარი. ბიუჯეტიდან თანხები დახარჯულია შემდეგ პრიორიტეტებზე: მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები; ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია; დასუფთავება და გარემოს დაცვა; განათლების ხელშეწყობა, კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ფართობია 711.8 კვ.კმ, რომელიც 21 ადმინისტრაციულ ერთეულადაა დაყოფილი, მათ შორის, 1 ქალაქი, 2 სადაბო და 18 სასოფლო თემია.¹ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ქობულეთი.

¹ <http://kobuleti.gov.ge/>

2. აუდიტის მიგნებები

2.1 ადგილობრივი ბიუჯეტი

2.1.1 ფინანსური რესურსების მართვის ხარვეზები

კრიტერიუმი: ადგილობრივი თვითმმართველობა არის საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები, რისთვისაც თვითმმართველ ერთეულს აქვს საკუთარი ქონება და ბიუჯეტი.²

მუნიციპალიტეტი დამოუკიდებლად განსაზღვრავს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისთვის დასაფინანსებელი გადასახდელების მიმართულებებს.³ მნიშვნელოვანია, საბიუჯეტო რესურსების ეფექტიანი მართვა ინფრასტრუქტურული, სოციალური ან სხვა მიზანშეწონილი პროექტების დროულად განსახორციელებლად.

ფაქტობრივი გარემოება: ხაზინის მონაცემებით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა 2019-2020 წლებში – 70,888,950 ლარი, ხოლო გადასახდელებმა 68,011,879 ლარი შეადგინა. სრული ინფორმაცია შემოსულობებისა და გადასახდელების შესახებ წარმოდგენილია ცხრილის სახით.

ცხრილი N1. ინფორმაცია 2019-2020 წლების ბიუჯეტის შესრულების შესახებ

დასახელება	2019 წელი			2020 წელი		
	დაზუსტ. გეგმა	საკასო შესრულება	შესრულების %	დაზუსტ. გეგმა	საკასო შესრულება	შესრულების %
შემოსულობები	35,029,746	37,546,524	107.2%	33,060,076	33,342,426	100.9%
შემოსავლები	34,886,346	37,401,466	107.2%	33,035,951	33,318,301	100.9%
არაფინანსური აქტივების კლება	143,400	145,058	101.2%	24,125	24,125	100.0%
გადასახდელები	35,490,762	34,427,299	97.0%	36,531,351	33,584,580	91.9%
ხარჯები	16,940,307	16,787,663	99.1%	19,928,576	18,988,108	95.3%
არაფინანსური აქტივების ზრდა	17,043,198	16,132,412	94.7%	14,608,034	12,611,831	86.3%
ვალდებულებების კლება	1,507,257	1,507,224	100.0%	1,994,741	1,984,641	99.5%

შემოსულობებისა და გადასახდელების საკასო მაჩვენებლები მიუთითებს, რომ გამოუყენებელი რჩება ადგილობრივი ბიუჯეტის კუთვნილი მნიშვნელოვანი თანხები, რომელმაც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3,587,031 ლარი, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3,344,877 ლარი შეადგინა. შესაბამისად, 2019 წლის ნაშთიდან გამოყენებულია მხოლოდ 242,154 ლარის რესურსი. აღსანიშნავია, რომ წლიური საბიუჯეტო გეგმების შესრულების მაღალი მაჩვენებლებით წარმოსაჩენად, როგორც 2019, ისე 2020 წელს ბიუჯეტში შესული ცვლილებებით საბიუჯეტო გეგმები ფაქტობრივ ფისკალურ მონაცემებს მიესადაგა. მაგალითად, 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 4,500,000 ლარით, ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადი – 11,630,000 ლარით.⁴ 2020 წლის ნოემბერში ბიუჯეტში შესული ცვლილებებით,⁵ ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შემცირდა 700,000 ლარით და შეადგინა 3,800,000

² „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 2.

³ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 102.

⁴ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის დადგენილება N13.

⁵ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 ნოემბრის დადგენილება N10.

ლარი, ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადი შემცირდა 1,702,700 ლარით და შეადგინა 9,927,300 ლარი.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ასევე რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებული თანხების აუთვისებლობა. 2019 წელს 871,400 ლარის აუთვისებლობის ძირითადი მიზეზი იყო სამშენებლო სამუშაოების დაგეგმვის პროცესში არსებული ნაკლოვანებები,⁶ ხოლო 2020 წელს – ასევე COVID-19 პანდემიიდან გამომდინარე შეზღუდვები.

დასკვნა

2019-2020 წლებში ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან აუთვისებული დარჩა 6,931,908 ლარის საბიუჯეტო რესურსი, რაც პროექტების დაგეგმვაში არსებულ ხარვეზებსა და საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიან მართვაზე მიუთითებს.

რეკომენდაცია N1

საბიუჯეტო რესურსების ეფექტიანი მართვისთვის, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურული პროექტების გარემოებათა დეტალური შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე დაგეგმვას, ხოლო პროექტების განხორციელების შეფერხების/განუხორციელებლობის შემთხვევაში, მიზეზების დროულ იდენტიფიცირებას და რეაგირებას

2.2 სახელმწიფო

შესყიდვები

2.2.1 სახელმწიფო

შესყიდვების დაგეგმვის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია რაციონალურად და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვები მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.⁷ შესყიდვის პროცედურის დაწყებამდე შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა ჩაატაროს მოსამზადებელი სამუშაოები, რომელთა ძირითადი მიზანია შესყიდვის ობიექტის მახასიათებლების, სავარაუდო ღირებულების, შესყიდვის განხორციელების საშუალების და დაფინანსების მოცულობის განსაზღვრა. პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით, შემსყიდველი ორგანიზაცია იყენებს ბაზრის გამოკვლევის შედეგებს.⁸ ბაზრის კვლევის მიზანია შესყიდვის საგნის სავარაუდო ღირებულების, მიწოდების ვადების, საგარანტიო ვალდებულებების, კომერციული თუ სხვა რელევანტური პირობების განსაზღვრა. ამასთანავე, მიმწოდებელთან დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები,⁹ გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა.¹⁰

⁶ მაგალითად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვში გზაგამტარის მოწყობისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოებში 2019 წელს აუთვისებული დარჩა 213,200 ლარი. აღნიშნულის მიზეზია შესყიდვის არასწორ დროს დაგეგმვა. კერძოდ, სამუშაოების დაწყება დაკავშირებული იყო სხვა სამშენებლო სამუშაოების დასრულებაზე, რის გამოც სამუშაოების გარკვეული ეტაპები გადავიდა 2020 წელს. ქალაქ ქობულეთის სანაპირო ზოლში ზღვისპირა პარკის მოწყობის სამუშაოებში აუთვისებული დარჩა 149,300 ლარი. აუთვისებლობა ასევე გამოწვეულია დაგეგმვის პროცესში არსებული ხარვეზებით. კერძოდ, არ იქნა გათვალისწინებული, რომ ტურისტული სეზონის განმავლობაში სამშენებლო სამუშაოები შეჩერდებოდა.

⁷ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 7, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა“.

⁸ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 9, პუნქტი 6, ქვეპუნქტი „ე“.

⁹ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 21, პუნქტი 5.

¹⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 398.

ფაქტობრივი გარემოება N1: სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის დროს ბაზრის კვლევა მუნიციპალიტეტის მერიასა და მუნიციპალურ ორგანიზაციებში¹¹ ძირითადად არ არის ჩატარებული ან/და კვლევა ფორმალურია და არ უზრუნველყოფს პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნებს. სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით, შემსყიდველ ორგანიზაციებში არ არის დანერგილი ეფექტიანი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციებში წარმოდგენილი მოცულობებისა და ფასების შემოწმებას. მაგალითად, სოფელ ხუცუბნის ცენტრისა და ქალაქ ქობულეთში სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციებში სამშენებლო ნორმები არასწორად იყო გაანგარიშებული, რაც ტენდერის მომზადების ეტაპზე ისევე, როგორც ხელშეკრულების გაფორმების დროს, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ ვერ იქნა აღმოჩენილი.

ცხრილი N2. სამშენებლო ნორმების დარღვევით შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები

N	დასახელება	შესყიდვის ნომერი	ხელშეკრულები ს ნომერი და თარიღი	სახელშეკრ ულებო ღირებ.	ღირებულება სამშენებლო ნორმების შესაბამისად	სხვაობა
1	სოფელ ხუცუბნის ცენტრის კეთილმოწყო ბა	NAT1900027 11	N69 28/03/2019	395,645	360,926	34,719
2	ქ.ქობულეთში სკვერის კეთილმოწყო ბა	NAT1900033 50	N72 04/04/2019	399,718	363,606	36,112
ჯამი:				795,363	724,532	70,831

სოფელ ხუცუბნის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოების და ქ. ქობულეთში სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო და, შესაბამისად, სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვებში, მოქმედი სამშენებლო ნორმების დარღვევის გამო,¹² ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება უსაფუძვლოდ გაზრდილია 70,831 ლარით.

აღსანიშნავია, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არსებული შეუსაბამობის ფაქტები მხოლოდ ხელშეკრულებების შესრულების ეტაპზე, სამუშაოთა მიღება-ჩაბარების აქტების საექსპერტო დასკვნებით გამოვლინდა. შეუსაბამობებმა ხელშეკრულებებში ცვლილებების აუცილებლობა განაპირობა, თუმცა ამით მუნიციპალიტეტს ეკონომია არ მიუღია: ერთ შემთხვევაში გაიზარდა სამუშაოების მოცულობები, ხოლო სოფელ ხუცუბნის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოების შემთხვევაში – დაემატა ახალი, თავდაპირველი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი სამუშაოები. აღსანიშნავია, რომ ახალი სამუშაოების უმრავლესობა ფარული სამუშაოები იყო,

¹¹ ვერ იქნა წარმოდგენილი ბაზრის კვლევის სრული დოკუმენტაცია.

¹² სოფელ ხუცუბნის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო და შესაბამისად, სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვაში, მოქმედი სამშენებლო ნორმების დარღვევით, 1 კვ.მ ასფალტის საფარის 3 სმ ფენის მოსაწყობად, ნაცვლად 75 კვ.მ ასფალტბეტონის ნარევისა, გათვალისწინებული იყო 183 კვ.მ, ხოლო 5 სმ ფენის მოსაწყობად 125 კვ.მ ნაცვლად, გათვალისწინებული იყო 318.3 კვ.მ. ამასთანავე, ელკარადის სამონტაჟო სამუშაოებში, სამშენებლო ნორმების დარღვევით, გათვალისწინებული იყო 109 ცალი სანათის მონტაჟი. ანალოგიურად, ქ. ქობულეთში სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად, 111.2 გრძივი მეტრი ბაზალტის ბორდიურების მოწყობისათვის, მოქმედი სამშენებლო ნორმების დარღვევით, გათვალისწინებული იყო 645.8 გრძივი მეტრი ბორდიურის გამოყენება.

რომელთა ღირებულება ბაზრის კვლევის გარეშე¹³ განისაზღვრა. იმის გათვალისწინებით, რომ სამუშაოები ფარულია, აუდიტის ჯგუფს არ აქვს შესაძლებლობა შეაფასოს მათი მიზანშეწონილობა და მოცულობის რეალობა.

ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო 70,831 ლარის ეკონომია, რაც საბიუჯეტო თანხების არაეკონომიური ხარჯვისა და არამართლზომიერი გარიგების რისკებს წარმოშობს. აღსანიშნავია, რომ ორივე აღნიშნულ შესყიდვაში მიმწოდებელია ერთი და იგივე ინდემწარმე.

ფაქტობრივი გარემოება N2: სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის დროს ყველა გარემოების სათანადო შეუფასებლობისა და საპროექტო ხარვეზების გამო, ხშირია სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებში ცვლილებების შემთხვევები. მათ შორის, ხელშეკრულებაში ცვლილების შედეგად იზრდება არა მხოლოდ შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები, არამედ გაზრდილია ელექტრონული ტენდერის საშუალებით განსაზღვრული ერთეულის ფასები. კერძოდ:

ცხრილი N3. ინფორმაცია ერთეულის ფასის ცვლილების შესახებ

N	სამუშაოს დასახელება	ხელშეკრულების ნომერი და თარიღი	მიმწოდებელი	სახელმწიფო ლემო თანხა	გაზრდილი თანხა
1.	ქ. ქობულეთში ზღვისპირა პარკის მოწყობა	N49 04/03/2019	შპს „ჯორჯიან სტოუნ“	2,276,066	1,346
2.	ქ. ქობულეთში სკვერის მოწყობა	N68 27/03/2019	შპს „ინშაოთ საქართველო“	393,123	14,834
3.	დაბა ჩაქვი გზაგამტარის მოწყობა და ტერიტორიის კეთილმოწყობა	N93 14/05/2019	შპს „ჯორჯიან სტოუნ“	745,332	23,396
4.	ქ. ქობულეთში, თავისუფლების ქუჩაზე შესასვლელის მოწყობა	N127 05/07/2019	შპს „ახალი გზა“	90,489	6,851
ჯამი:				3,505,010	46,427

ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებებში განხორციელებული ცვლილებებით შეცვლილია არამარტო შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები, არამედ გაზრდილია ტენდერის შედეგად განსაზღვრული სამუშაოების განზომილების ერთეულის ფასები. შედეგად, ზედმეტად ანაზღაურებულია 46,427 ლარი. ამასთანავე, ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებებით დამატებულია ახალი სამუშაოები, რომელთა ღირებულებაც განსაზღვრულია ბაზრის კვლევის გარეშე, მხარეთა შეთანხმებით. მაგალითად, ქ. ქობულეთში ზღვისპირა პარკის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის შესახებ გაფორმებულ ხელშეკრულებაში¹⁴ განხორციელებული 4 ცვლილების შედეგად შეიცვალა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული 100 დასახელების სამუშაოს მოცულობა, მათ შორის, 5 შემთხვევაში გაიზარდა სამუშაოთა განზომილების ერთეულის ფასი, 6 შემთხვევაში კი დაემატა ახალი სამუშაო, რომელთა ღირებულებაც ურთიერთშეთანხმებით, ბაზრის კვლევის გარეშე განისაზღვრა.

¹³ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ბაზრის კვლევის დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი.

¹⁴ ხელშეკრულება N49, 04/03/2019 (NAT190000998).

ელექტრონული ტენდერის შედეგად განსაზღვრული სამუშაოების განზომილების ერთეულის ფასები გაზრდილია ასევე დაბა ჩაქვში გზაგამტარის მოწყობისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის ღონისძიების ფარგლებში, ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში,¹⁵ რის შედეგად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ზედმეტად გადახდილია 23,396 ლარი.

დასკვნა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების სათანადო დაგეგმვა-განხორციელებას, რაც ბაზრის კვლევის ნაკლოვანებებში, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის არსებით ხარვეზებსა და, შესაბამისად, ხელშეკრულებებში განხორციელებულ ხშირ ცვლილებებში გამოიხატება. შედეგად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ზედმეტად გადახდილია 46,427 ლარი, ასევე გაწეულია არანაკლებ 70,831 ათასი ლარის არაეკონომიური ხარჯი. აღნიშნული სახელმწიფო შესყიდვების მართვაში არსებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს და არამართლზომიერი გარიგების რისკებს წარმოშობს.

რეკომენდაცია N2

შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ადეკვატურად განსაზღვრისა და საჯარო სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველსაყოფად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ შეიმუშაოს ეფექტიანი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შესყიდვების მომზადების ეტაპზე ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაციის სათანადო შესწავლასა და ანალიზს, ყველა რელევანტური პირობის (მოცულობა, წარმოშობის ქვეყანა, ანგარიშსწორება, მიწოდების ვადა, საგარანტიო ვადა და ა.შ.) გათვალისწინებით. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა თითოეულ შემთხვევაში გამოიკვლიოს არაეკონომიური ხარჯის გაწევის მიზეზები და გაატაროს ეფექტიანი ღონისძიებები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ზედმეტად გადახდილი 46,427 ლარის ბიუჯეტში დაბრუნების უზრუნველსაყოფად.

2.2.2 შერჩევა-შეფასების ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: მოქმედი რეგულაციით, შესყიდვის პროცედურის დაწყებამდე შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა ჩაატაროს მოსამზადებელი სამუშაოები, რომელთა ძირითადი მიზანია შესყიდვის ობიექტის მახასიათებლების, სავარაუდო ღირებულების, შესყიდვის განხორციელების საშუალების და დაფინანსების მოცულობის განსაზღვრა. ასევე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ხელშეკრულების პროექტის მომზადება.¹⁶ ამასთანავე, ისე უნდა განისაზღვროს პირობები, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფო შესყიდვების მონაწილეთა მიმართ თანასწორი მოპყრობა, პროპორციული/არადისკრიმინაციული მიდგომა და ჯანსაღი კონკურენციის განვითარება.¹⁷ ელექტრონული ტენდერის შერჩევა-შეფასების ეტაპზე ფასდება პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაციის, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში, ნიმუშის, ექსპერტიზის დასკვნის ან/და ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის სატენდერო პირობებთან შესაბამისობა.¹⁸

¹⁵ ხელშეკრულება N93, 14/05/2019 (NAT190006666).

¹⁶ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანება „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 4, პუნქტი 6.

¹⁷ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 2.

¹⁸ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“, მუხლი 2, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „უ“.

ფაქტობრივი გარემოება N1: მუნიციპალიტეტის მერიამ, ქალაქ ქობულეთში, გელაურის უბნის კეთილმოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 2019 წლის 14 იანვარს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე.¹⁹ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 1,541,475 ლარით. სატენდერო დოკუმენტაციით, პრეტენდენტს უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში უნდა ჰქონდეს ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის, არანაკლებ 3,000,000 ლარის ღირებულების გამოცდილება, მათ შორის, გზის დეკორატიული ფილების მოწყობის სამუშაოები არანაკლებ 1,500,000 ლარის ოდენობით. მიუხედავად იმისა, რომ შესყიდვის საგანი იყო გზის დეკორატიული ფილების მოწყობის სამუშაოებთან ერთად, წყალარინების სისტემის, საავტომობილო გზის ასფალტირებისა და ბორდიურების სამუშაოები, სატენდერო კომისიის მიერ პრიორიტეტი მიენიჭა დეკორაციული ფილების მოწყობის სამუშაოების გამოცდილებას, რომელთა ღირებულება მთლიანი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 25 პროცენტს შეადგენდა. შედეგად, ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა – შპს „ჯორჯიან სტოუნმა“, რომლის შეთავაზებამ შეადგინა 1,514,638 ლარი. კომპანიის მიერ შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამოცდილების დასადასტურებლად ატვირთული დოკუმენტებით, ფილების მოწყობის მოთხოვნილი გამოცდილება არ დასტურდება. კერძოდ: გზების, საცხოვრებელი სახლების ეზოებისა და ტროტუარების მოწყობის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებები, ფილების მოწყობის შესახებ ინფორმაციას არ შეიცავს, რაც შეეხება გამოცდილების დადასტურების მიზნით შესყიდვის სისტემაში ატვირთულ შპს „777“-თან გაფორმებულ ხელშეკრულებას, მოპოვებული ინფორმაციით, მასში შპს „ჯორჯიან სტოუნის“ მონაწილეობა არ დასტურდება.²⁰ აღსანიშნავია, რომ გამოცდილების დადასტურების მიზნით აღნიშნული ხელშეკრულება შპს „ჯორჯიან სტოუნის“ მიერ გამოყენებულია ასევე ქალაქ ქობულეთის სანაპირო ზოლში ზღვისპირა პარკის მოწყობის პირველი ეტაპის სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში,²¹ რომელიც ანალოგიური პირობით ჩატარდა და გამარჯვებულად კვლავ შპს „ჯორჯიან სტოუნს“ გამოვლინდა.

კონკურენციის შეზღუდვის პირობებში წარიმართა აგრეთვე სანაპირო ზოლში პარკის მოწყობის მეორე ეტაპის სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერი,²² 4,733,769 ლარის შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით. აღნიშნულ შემთხვევაში პრეტენდენტს, 2017 წლის პირველი იანვრიდან ტენდერის გამოცხადების დღემდე²³ პერიოდში, შესრულებული უნდა ჰქონოდა ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის, არანაკლებ 10,000,000 ლარის ღირებულების (ქუჩების, გზებისა და პარკების) კეთილმოწყობის სამუშაოები, მათ შორის, არანაკლებ 2,000,000 ლარის ღირებულების პარკების/სკვერების მოწყობის/რეაბილიტაციის სამუშაოები. ტენდერში უმცირესი ფასი დააფიქსირა შპს EWARD-მა, რომელიც სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით,²⁴ არასაკმარისი გამოცდილების გამო,

¹⁹ NAT190000554.

²⁰ სსიპ - ბათუმის ბულვარის წერილი N01-11/439, 21/10/2021.

²¹ NAT190000998 (ხელშეკრულების ღირებულება - 2,276,067 ლარი).

²² NAT200000994.

²³ 16/01/2020.

²⁴ სატენდერო კომისიის ოქმი N31/3, 21/02/2020.

დისკვალიფიცირებულ იქნა. მოპოვებული ინფორმაციით ირკვევა, რომ გამოცდილებაში არ იქნა ჩათვლილი მხარეების მიერ ხელმოწერილი და დადასტურებული ანგარიშები შესრულებული სამუშაოების შესახებ,²⁵ რადგან მათ თან არ ახლდა მიღება-ჩაბარების აქტები, ასევე პარკის რეაბილიტაციის სამუშაოები, ვინაიდან მათი დასრულების თარიღი 7 კალენდარული დღით სცდებოდა ტენდერით განსაზღვრულ ვადას (2020 წლის 16 იანვარი). აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების ანგარიშებით მხარეები ფაქტობრივად ადასტურებენ სამუშაოთა შესრულების ფაქტს, ხოლო პარკის რეაბილიტაციის სამუშაოები სატენდერო განაცხადის განხილვის მომენტისათვის დასრულებული იყო. სატენდერო კომისიამ მხედველობაში არ მიიღო აღნიშნული გარემოებები და თეთრ სიაში რეგისტრირებულ კომპანიას მისცა დისკვალიფიკაცია. შედეგად, გამარჯვებულად ტენდერში მონაწილე მეორე პრეტენდენტი – შპს „ჯორჯიან სტოუნი“ გამოვლინდა, რომელთანაც გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულება 437,635 ლარით აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შეთავაზებულ ფასს.

ფაქტობრივი გარემოება N2: მერიამ გზებზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, 2019 წლის 25 ივნისს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე.²⁶ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 349,202 ლარით. ტენდერის ტექნიკური პირობებით მოთხოვნილი იყო, რომ პრეტენდენტს საკუთრებაში ან სარგებლობაში უნდა ჰქონდეს მზა ბეტონის ნარევის დამამზადებელი ქარხანა და 5 ერთეული ბეტონმრევი მანქანა. ტენდერში, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ოდენობის შეთავაზებით, მონაწილეობდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი – შპს „ნია“, რომელმაც ტექნიკური მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ელექტრონული სისტემის საშუალებით წარადგინა ერთ-ერთ კომპანიასთან²⁷ გაფორმებული ხელშეკრულება მზა ბეტონის მიწოდების თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ მზა ბეტონის მიწოდება არ წარმოადგენს ქარხნის საკუთრებაში ან სარგებლობაში ფლობას, სატენდერო კომისიამ არ იმსჯელა პრეტენდენტის დისკვალიფიკაციაზე და შპს „ნიასთან“ გააფორმა ხელშეკრულება.²⁸ ამდენად, შემზღუდველი პირობების გამო, ტენდერზე კონკურენცია არ შედგა და გაიმარჯვა პრეტენდენტმა, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილ პირობებს. აღსანიშნავია, რომ სხვა ანალოგიურ შემთხვევაში პრეტენდენტს მიეცა დისკვალიფიკაცია.²⁹

დასკვნა

სატენდერო პირობების შემუშავებისა და ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა შერჩევასთან დაკავშირებით, მერიაში არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს სატენდერო პირობების ოპტიმალურ განსაზღვრას და პრეტენდენტთა ობიექტურ შეფასებას. შედეგად, ოთხ შემთხვევაში, 9,553,900 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვაზე ფიქსირდება კონკურენციის შეზღუდვისა და პრეტენდენტთა არაერთგვაროვანი შეფასების ფაქტები, რითაც

²⁵ ფორმა N2.

²⁶ NAT190012512.

²⁷ შპს „იმპულსი და ინდივიდი“.

²⁸ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N154, 05/08/2019 (ხელშეკრულების ღირებულება - 349,202 ლარი).

²⁹ NAT190002139.

მუნიციპალიტეტმა, მინიმუმ, 437,635 ლარის ეკონომიის მიღების შესაძლებლობა დაკარგა.

რეკომენდაცია N3

შესყიდვებში მონაწილე პირთა მიმართ გამჭვირვალე, ერთგვაროვანი მიდგომისა და ფინანსური სახსრების ეკონომიური ხარჯვის უზრუნველსაყოფად, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შეიმუშაონ და დანერგონ ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სატენდერო კომისიების მიერ ყველა შესაფერისი დოკუმენტის სრულყოფილად შესწავლას და ადეკვატური გადაწყვეტილების მიღებას.

2.2.3 გარე განათების ტექნიკური მომსახურების შესყიდვის ხარვეზები

კრიტერიუმი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ტექნიკური მომსახურება რეგულირდება ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით.³⁰ შესაბამისი ხელშეკრულებით მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს გარე განათების წერტილების ყოველდღიური მოვლა-ექსპლუატაცია, მათ შორის, სადენების და სანათების დამჭერების შემოწმება, გადამწვარი ნათურების და დაზიანებული კაბელის შეცვლა, საპაერო ხაზების შემოწმება, დაზიანების აღმოფხვრა, მრიცხველის მოწესრიგება, დღისა და ღამის საათებში ორჯერ ქსელის შემოვლა და სხვ.

ფაქტობრივი გარემოება: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია ელექტრონული ტენდერის საშუალებით ყოველწლიურად ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ტექნიკური მომსახურების შესყიდვას, რაშიც 2019-2020 წლებში, ჯამურად გადახდილია 717,506 ლარი. ორივე წელს ტენდერში³¹ გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „მეოხი“, რომელმაც, წარმოდგენილი ინფორმაციით, 2018 წელსაც გაიმარჯვა³² და ახორციელებდა ანალოგიურ მომსახურებას.³³ საკითხის შესწავლით გამოვლინდა, რომ პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულების დასადგენად მერია ბაზრის კვლევას არ ატარებდა, ხოლო ფასი განისაზღვრებოდა წინა წლის სატენდერო ფასის მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ გარე განათების ტექნიკურ მომსახურებაში არსებული ნაკლოვანებები ასახულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინა პერიოდის აუდიტის ანგარიშებში³⁴ და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები. გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად მერიის მიერ ტენდერებზე რიგი შემზღუდველი პირობები მოიხსნა,³⁵ მაგრამ მიმდინარე აუდიტით დგინდება, რომ მდგომარეობა არ გამოსწორებულა. მოპოვებული მტკიცებულებებით, როგორც 2019 წელს, ისე 2020 წელს შპს „მეოხი“ მომსახურებას ახორციელებდა ქვეკონტრაქტორის – შპს „ზომას“ მეშვეობით. ამასთანავე, 2020 წელს განსახორციელებელ მომსახურებაზე გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობდა მხოლოდ ზემოაღნიშნული ორი კომპანია, რაც წარმოშობს რისკს, რომ შპს „მეოხმა“ და შპს „ზომამ“ ტენდერში მონაწილეობა მიიღეს შეთანხმებულად, მეტი სარგებლის მიღების მიზნით.

³⁰ ხელშეკრულება N14, 11/01/2019; ხელშეკრულება N15, 17/01/2020.

³¹ NAT180019893; NAT190024927.

³² NAT170014654.

³³ შპს „მეოხმა“ უკონკურენტოდ გაიმარჯვა 2021 წლის მომსახურებაზე გამოცხადებულ ტენდერში (NAT200018190).

³⁴ წინა პერიოდში გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებებთან დაკავშირებით მასალები გადაეცა სამართალდამცავ ორგანოებს.

³⁵ სატენდერო პირობებიდან ამოღებულ იქნა მხოლოდ კონკურენციის შემზღუდველი მოთხოვნები: სადენების შეერთების შემოწმება ყოველდღიურად, დღისა და ღამის საათებში ავტომატურად ქსელის ორჯერ შემოვლა, შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო და სხვ.

ცხრილი N4. ინფორმაცია გარე განათებაზე გაწეული ხარჯების შესახებ

წელი	განათების წერტილების რაოდენობა	პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება	პრეისკურანტის სახელშეკრულებო ფასი	ფასდაკლება	გადახდილი თანხა	ერთი წერტილის მომსახურების საშუალო ღირებულება
2019	4,980	12,056	5,085	57.8%	348,650	70.0
2020	5,858	5,034	3,520	30.1%	368,856	63.0
ჯამი:					717,506	

ტენდერზე კონკურენციისა და პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულების შემცირების მიუხედავად, მუნიციპალიტეტმა სარგებელი ვერ მიიღო და დანახარჯები კიდევ უფრო გაიზარდა: თუ 2018 წელს ერთი წერტილის მომსახურების საშუალო ღირებულება შეადგენდა 60.2 ლარს, 2019 წელს შეადგინა 70.0 ლარი, ხოლო 2020 წელს – 63.0 ლარი.

სატენდერო პირობებით გათვალისწინებული, განათების წერტილების ყოველდღიური მოვლა-ექსპლუატაცია გულისხმობს განათების, სადენების, სანათების დამჭერების და საჭირო ხაზების შემოწმებას, დაზიანების აღმოფხვრას და სხვ. ვინაიდან არ მიმდინარეობდა მომსახურების სათანადო წესით აღრიცხვა და დოკუმენტირება, არ არის იდენტიფიცირებული, რომელ უბანზე ან წერტილზე განხორციელდა მომსახურება და რა რაოდენობის სამუშაოები შესრულდა. აღნიშნულის მიზეზი ისიცაა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ გაწეულ მომსახურებაზე არ ხორციელდება სათანადო კონტროლი. მაგალითად, 2019 წელს გასაწევი მომსახურება ითვალისწინებდა დღისა და ღამის საათებში ავტომატურად ქსელის ორჯერ შემოვლას, რაზეც ზღვრული ღირებულება განისაზღვრებოდა დღეში 40 ლარით. განათების წერტილების რაოდენობიდან,³⁶ მათი განთავსების ლოკაციებისა და საჭირო ადამიანური რესურსიდან გამომდინარე, ყოველდღიურად, დღეში ორჯერ აღნიშნული მომსახურების ამ ფასად გაწევა შეუძლებელია.³⁷ მიუხედავად ამისა, აღნიშნული საფუძვლით მიმწოდებელს ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევა არ უფიქსირდება, რაც სხვა გარემოებებთან ერთად, კონტროლისადმი ფორმალურ დამოკიდებულებაზე მიუთითებს.

დასკვნა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ გარე განათების ტექნიკურ მომსახურებაში 2019-2020 წლებში გადახდილია 717,506 ლარი, რაზეც ხარჯის გაწევის დამადასტურებელი სრულყოფილი დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, გაწეული მომსახურების დოკუმენტურად დაუდასტურებელი მოცულობა და სხვა გარემოებები წარმოშობს საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის რისკებს.

რეკომენდაცია N4

მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს შიდა კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს გარე განათების სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას და გამორიცხავს საბიუჯეტო სახსრების დაუსაბუთებელ და არარაციონალურ ხარჯვას.

³⁶ 2019 წელს - 4980 ერთეული გარე განათების წერტილი.

³⁷ აღნიშნულ მომსახურებაში 2019 წელს გადახდილია 12,900 ლარი.

2.2.4 შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: საჯარო დაწესებულებების მიერ შესყიდული სამშენებლო სამუშაოების მიზანია მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. შესაბამისად, შესრულებული სამშენებლო სამუშაოები უნდა იყოს ხარისხიანი, ხოლო მისგან მიღებული შედეგი – დადებითად უნდა აისახებოდეს მომხმარებელზე და გრძელვადიან პერიოდში შესაძლებელი უნდა იყოს ამ სამუშაოებით სარგებლობა. შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები ითვალისწინებს საგარანტიო ვადაში ხარვეზების გამოვლენისას, მიმწოდებლის ვალდებულებას, დაზიანება ან/და უხარისხოდ შესრულებული სამუშაო გამოასწოროს დროულად და საკუთარი ხარჯებით. ამასთანავე, შესაბამისმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ ქონების სათანადო მოვლა-პატრონობა და გაფრთხილება.

ფაქტობრივი გარემოება: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ განხორციელა 8,662,030 ლარის ღირებულების სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლებიც შემსყიდველმა ორგანიზაციამ ჩაიბარა საექსპერტო დასკვნისა და ინსპექტირების ჯგუფის შეფასების საფუძველზე. აუდიტის ჯგუფის მიერ შესრულებული სამუშაოების ადგილზე დათვალიერების შედეგად გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

- მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ელექტრონული ტენდერებით აუქციონის გარეშე³⁸ შესყიდულია 6.888,986 ლარის ღირებულების ქალაქ ქობულეთის სანაპირო ზოლში ზღვისპირა პარკის მოწყობის სამუშაოები.³⁹ შესრულებული სამუშაოების ადგილზე დათვალიერებით ირკვევა, რომ დაზიანებულია მოაჯირები, ბაზალტის ანაკრები ბორდიურები, სავარჯიშო ტრენაჟორები, ე.წ. „პლანეტების დეკორაციები“ და ა.შ.
- მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ელექტრონული ტენდერით აუქციონის გარეშე⁴⁰ შესყიდულია 669,299 ლარის ღირებულების დაბა ჩაქვის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები.⁴¹ შესრულებული სამუშაოების ადგილზე დათვალიერებით ირკვევა, რომ არაჯეროვნადაა შესრულებული ჩაქვის ცენტრის მიმდებარე ჩიხების კეთილმოწყობის სამუშაოები.
- ხარვეზები აღინიშნება სხვადასხვა შესყიდვის⁴² ფარგლებში განხორციელებულ, 18 ერთეული სტადიონის/სპორტული მოედნის მოწყობისა და რეაბილიტაციის სამუშაოებში, რაშიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან გადახდილია 1,103,745 ლარი.

მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ პროექტზე მოქმედებს არანაკლებ 3-წლიანი საგარანტიო ვადა, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ხარვეზები არ ყოფილა გამოვლენილი და, შესაბამისად, არც რეაგირება განხორციელებული. მოპოვებული ინფორმაციით, მუნიციპალიტეტის მიერ არცერთი შესყიდვის შემთხვევაში არ განხილულა სამშენებლო სამუშაოების ექსპერტიზისა და

³⁸ NAT190000998; NAT200000994.

³⁹ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები N49, 04/03/2019; N76, 18/03/2020.

⁴⁰ NAT200000643.

⁴¹ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N60, 06/03/2020.

⁴² NAT190010083; NAT190014558; NAT190014554; NAT190020470; NAT190020472; NAT190025463; NAT190025470; NAT190025482; NAT190025474; NAT190025480.

ინსპექტირების არაჯეროვნად შესრულების საკითხი და, შესაბამისად, რაიმე სახის სამართლებრივი ღონისძიებები არ გატარებულა.⁴³

დასკვნა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით შესრულებული 8,662,030 ლარის ღირებულების სხვადასხვა შესყიდვაში გამოვლენილია ხარვეზები, რაც არაჯეროვნად შესრულებულ სამუშაოებსა და ჩატარებულ ექსპერტიზაზე/ინსპექტირებაზე მიუთითებს. ამასთანავე, მონიტორინგის პროცესის არაეფექტიანობის გამო, საგარანტიო ვადებში ხარვეზების შეუმჩნევლობა, შემდგომში, დამატებითი საბიუჯეტო ხარჯების გაწევის რისკებს წარმოშობს.

რეკომენდაცია N5

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც მიწოდებული სამშენებლო სამუშაოების რეგულარული მონიტორინგით უზრუნველყოფს ხარვეზების დროულად გამოვლენას და საგარანტიო მექანიზმების ამოქმედებას. ამასთანავე, თითოეულ შემთხვევაში გამოიკვლიოს არაჯეროვნად შესრულებული სამუშაოების გამომწვევი მიზეზები და გაატაროს სათანადო ღონისძიებები.

2.3 მუნიციპალური აქტივების მართვა

2.3.1 აქტივების მართვის ხარვეზები

კრიტერიუმი: ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების დროს, რომელსაც თან ახლავს არსებული აქტივების დემონტაჟი, მოქმედი რეგულაციით,⁴⁴ უნდა შეფასდეს ჩამოსაწერი ქონების ფაქტობრივი მდგომარეობა და ვარგისი ქონება ბალანსში მარაგების სახით უნდა აისახოს. დემონტაჟის შედეგად მიღებული აქტივების ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით განისაზღვრება მათი ღირებულება და განხორციელდება შესაბამისი თანხით საბუღალტრო აღრიცხვა. ამასთანავე, საბიუჯეტო ორგანიზაცია ვალდებულია განსაზღვრული პერიოდულობით ჩაატაროს აქტივების, მოთხოვნების და ვალდებულებების ინვენტარიზაცია და აღნიშნულის შესასრულებლად ხელმძღვანელის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნას საინვენტარიზაციო კომისია.⁴⁵

ფაქტობრივი გარემოება: მოპოვებული დოკუმენტაციით, 2019-2020 წლებში ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას და მუნიციპალურ ორგანიზაციებს, მოქმედი რეგულაციების შესაბამისად არ ჩაუტარებიათ ბალანსზე რიცხული აქტივების, მოთხოვნების და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. კერძოდ, მუნიციპალიტეტს არ ჩაუტარებია ფინანსური აქტივების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია, რომელიც მუნიციპალიტეტის 2020 წლის კონსოლიდირებული ბუღალტრული ანგარიშგების თანახმად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 19,523,656 ლარს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული ინვენტარიზაცია არ მოიცავს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ყველა უძრავ ქონებას,⁴⁶

⁴³ მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, აუდიტის პირველადი ანგარიშის გაგზავნის შემდეგ მიმწოდებელ კომპანიებს ეცნობათ გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის თაობაზე.

⁴⁴ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის N82 დადგენილება „საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოყენებული ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე.

⁴⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“.

⁴⁶ მხოლოდ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 192,707,826 ლარს.

რომლის ინვენტარიზაცია, მოქმედი რეგულაციების⁴⁷ თანახმად, ტარდება სამ წელიწადში ერთხელ მაინც. ინვენტარიზაციის დადგენილი წესით ჩაუტარებლობის გამო, მუნიციპალური ქონების ნაწილი ჯერ კიდევ არ ირიცხება მუნიციპალიტეტის ბალანსზე. გარდა ამისა, 8 ინფრასტრუქტურული პროექტის (იხ. დანართი 1) სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ხარჯთაღრიცხვებში გათვალისწინებული იყო არსებული აქტივების დემონტაჟი და შედეგად მიღებული ვარგისი სამშენებლო მასალისა და სხვა დაუზიანებელი აქტივის დასაწყობება. შესაბამის მიღება-ჩაბარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციით, დემონტაჟის სამუშაოები შესრულებულია და ქონება დასაწყობებულია, თუმცა მათი ინვენტარიზაცია და მუნიციპალიტეტის ბალანსზე ასახვა არ მომხდარა. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის მერიამ ვერ წარმოადგინა ინფორმაცია ვარგისი ქონების ფაქტობრივი მდგომარეობის, მოცულობისა და განთავსების ლოკაციების თაობაზე. გამომდინარე ქონების დემონტაჟის შემდეგ გასული პერიოდისა, მაღალია რისკი, რომ ქონება განადგურებულია ან/და იმყოფება მესამე პირების არამართლზომიერ მფლობელობაში. აღნიშნულის გამო, აუდიტის ჯგუფს არ აქვს შესაძლებლობა განახორციელოს ქონების იდენტიფიცირება და ინვენტარიზაცია.

დასკვნა

ქობულეთის მუნიციპალიტეტს არ ჩაუტარებია ბალანსზე რიცხული 212,231,482 ლარის⁴⁸ ღირებულების უძრავი ქონების, ფინანსური აქტივების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. ასევე მუნიციპალიტეტის მერიის მიერ არ არის აღრიცხული სხვადასხვა სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში ქონების დემონტაჟის შედეგად მიღებული ვარგისი მატერიალური აქტივები, რაც ქონების დაზიანების ან მესამე პირების მიერ არამართლზომიერი სარგებლობის რისკებს წარმოშობს.

რეკომენდაცია N6

საჯარო ქონების ეფექტიანი მართვისთვის, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში/მართვაში არსებული ყველა ქონების აღწერას, მისი ღირებულებით შეფასებას და ბალანსზე ასახვას, ხოლო არარსებული ქონების ბალანსიდან ჩამოწერას შესაბამისი პროცედურებით.

2.4 შრომის ანაზღაურება

2.4.1 შრომის ანაზღაურების ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის⁴⁹ თანახმად, დაუშვებელია 2018–2020 საბიუჯეტო წლებში საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების ფონდის გაზრდა 2018 წლის შესაბამისი ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში განსაზღვრულ ჯამურ მაჩვენებელთან შედარებით, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევისა. შესაბამის პერიოდში მოქმედი რეგულაციებით,⁵⁰ ხელფასის დარიცხვის საფუძველი იყო ორგანიზაციის ბრძანებები მომუშავეთა მიღების, გათავისუფლებისა და გადაადგილების შესახებ დამტკიცებული შტატებისა და სარგოების შესაბამისად, სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვა ორგანიზაციის მიერ დადგენილი ფორმით და შრომითი ხელშეკრულებით ან

⁴⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“, მუხლი 2, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ბ“.

⁴⁸ 192,707,826 ლარის ღირებულების უძრავი ქონება, 19,523,656 ლარის ღირებულების ფინანსური აქტივების, მოთხოვნებისა და ვალდებულებები.


⁴⁹ „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 34, პუნქტი 2.

⁵⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 30, პუნქტი 14.

შრომის შინაგანაწესით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები. თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობებია შესასრულებელი სამუშაოს სახე ან აღწერილობა, შრომის ანაზღაურება და მისი გადახდის წესი.⁵¹

ფაქტობრივი გარემოება N1: ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე არსებულ ორგანიზაციებში 2019 წელს სრულმა სახელფასო ხარჯებმა შეადგინა 8,323,191 ლარი,⁵² ხოლო 2020 წელს – 8,554,537 ლარი,⁵³ რაც, შესაბამისად, 9.6%-ით⁵⁴ და 12.6%-ით⁵⁵ აღემატება 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, მათ შორის, 2018 წელთან მიმართებით 2019 წლის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების საკასო შესრულება გაზრდილია 41.7%-ით, ხოლო 2020 წლის – 54.6%-ით.

დიაგრამა N1. სახელფასო ხარჯები (2018-2020 წწ.)



2018 წელთან შედარებით სახელფასო ხარჯები გაზრდილია ასევე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიაში, მათ შორის, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების ხარჯები 2019 წელს გაზრდილია 24.1%-ით, ხოლო 2020 წელს – 30.4%-ით.⁵⁶ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ხარჯების ზრდა დაუსაბუთებელია, განსაკუთრებით, 2020 წელს COVID-19 პანდემიის გავრცელების პირობებში, როდესაც არ ხდებოდა თანამშრომლების სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვა ან/და შესრულებული სამუშაოს სხვა ფორმით დადასტურება. ასევე შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შესასრულებელი სამუშაო არ ატარებს დამხმარე ხასიათს ან/და არამუდმივი ამოცანების შესრულებას.⁵⁷

მუნიციპალური ორგანიზაციები, თანამშრომლების სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის მიზნით, 2019-2020 წლებში ასევე არ აწარმოებდნენ თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების აღრიცხვის⁵⁸/სამუშაო დროის გამოყენებისა და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელს, ხოლო ხელფასების დარიცხვა და გაცემა ხდებოდა მხოლოდ საშტატო განრიგისა და შრომითი ხელშეკრულებების

⁵¹ „საქართველოს შრომის კოდექსი“, მუხლი 14, პუნქტი 1.

⁵² შრომის ანაზღაურება - 7,814,476 ლარი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება - 508,715 ლარი.

⁵³ შრომის ანაზღაურება - 7,999,587 ლარი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება - 554,950 ლარი.

⁵⁴ 728,491 ლარით.

⁵⁵ 959,837 ლარით.

⁵⁶ დარღვეულია „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁵⁷ დარღვეულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი.

⁵⁸ ტურნიკეტის, თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალის ან სხვა ფორმით.

საფუძველზე. ამასთანავე, ორგანიზაციებს დადოკუმენტირებული სახით არ აქვთ სამუშაო აღწერილობები, შრომითი ხელშეკრულებები კი შაბლონურია და არ იძლევა შესასრულებელი სამუშაოების იდენტიფიცირების შესაძლებლობას. მაგალითად, ა(ა)იპ – ქობულეთის სოფლის წყალს დასაქმებული ჰყავს 131 თანამშრომელი.⁵⁹ სამუშაო აღწერილობებისა და წერილობითი ფორმით შრომითი ხელშეკრულებების არარსებობის პირობებში, შეუძლებელია თითოეული დასაქმებულის სამსახურებრივი მოვალეობების იდენტიფიცირება. უფლებამოსილი წარმომადგენლის განმარტებით, ჭაბურდილზე დასაქმებული თანამშრომლებისთვის განსაზღვრულია 24-საათიანი სამუშაო რეჟიმი, რისი გათვალისწინებითაც დაწესებულია დღეგამოშვებით მუშაობის გრაფიკი, თუმცა მოპოვებული ინფორმაციით,⁶⁰ ზოგ ჭაბურდილზე დასაქმებულია სამი პირი, ხოლო სხვა შემთხვევაში – მხოლოდ ერთი პირი უზრუნველყოფს შესასრულებელი სამუშაოების შესრულებას.

დასკვნა

ქობულეთის მუნიციპალიტეტში 2019-2020 საბიუჯეტო წლებში, 2018 წელთან შედარებით, გაზრდილია საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების ფონდი. აგრეთვე მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს ფაქტობრივად ნამუშევარი დროის აღრიცხვის სისტემა, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული პირები მიიღებოდნენ მუდმივი ამოცანების შესასრულებლად, ხოლო მათ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულება დოკუმენტურად არ დასტურდება. ზემოაღნიშნული შიდა კონტროლის სისტემის სისუსტეზე მიუთითებს და საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურად ხარჯვის რისკებს შეიცავს.

რეკომენდაცია N7

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც ადამიანური რესურსების ოპტიმალური გამოყენებით უზრუნველყოფს საბიუჯეტო რესურსების ეფექტიან განკარგვას, ასევე თანამშრომელთა სამსახურში ყოფნისა და სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დადასტურებას.

2.5 ტრანსპორტის ხარჯები

2.5.1 ტრანსპორტის ხარჯების ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით,⁶¹ შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია რაციონალურად განაზოგადოს სახელმწიფო შესყიდვები მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში. თანამშრომელთა მფლობელობაში არსებულ ავტომანქანებზე, მუნიციპალიტეტმა საწვავის ხარჯვის დასადასტურებლად უნდა აწარმოოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ გავლილი მანძილის რეესტრი. ამასთანავე, სააღრიცხვო პოლიტიკაში შესაძლებელია „საგზაო ფურცლის“ შემოღება, რომელიც იქნება ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გაწერილი დოკუმენტი და რომლის მიხედვითაც მოხდება სატრანსპორტო ერთეულის ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართულობის აღრიცხვა.⁶²

ფაქტობრივი გარემოება: 2019-2020 წლებში ქობულეთის მუნიციპალიტეტის

⁵⁹ მქლორავი-ოპერატორი, წყალსადენის მომვლელი, ჭაბურდილის ოპერატორი, დარაჯი და ა. შ., მათ შორის, 8 პირი დასაქმებულია შრომითი ხელშეკრულებით.

⁶⁰ ა(ა)იპ - ქობულეთის სოფლის წყლის დირექტორის განმარტება, ასევე საშტატო განრიგი.

⁶¹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 7, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა“.

⁶² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 18 აპრილის N230 ბრძანება „ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებულ ძირითად საშუალებაზე (ავტოსატრანსპორტი, სპეცტექნიკა და სხვა) გახარჯული საწვავის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის წესის“ დამტკიცების თაობაზე.

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის საკასო ხარჯებმა შეადგინა 1,536,077 ლარი, მათ შორის, საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯი შეადგენს 1,034,947 ლარს, ხოლო სათადარიგო ნაწილების, მათი შეკეთების და სხვა ხარჯები – 501,130 ლარს.

მუნიციპალიტეტის მერიაში ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე 2019-2020 წლებში საწვავის ხარჯვა ხორციელდებოდა აგაი სისტემის (ავტომანქანის გამართვისა და ავტომატური იდენტიფიცირების სისტემა) გამოყენებით და ჯამში გახარჯულია 216,766 ლარის საწვავი, მათ შორის, ბალანსზე რიცხულ 14 ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გაიხარჯა 198,335 ლარის საწვავი, ხოლო საჯარო მოხელეების პირად საკუთრებაში არსებულ 21 ერთეულ ავტოსატრანსპორტზე – 18,431 ლარის საწვავი. ტრანსპორტთან დაკავშირებული დანახარჯების ანალიზი ცხადყოფს, რომ ხარჯების შემცირება შესაძლებელია ავტოპარკის ოპტიმიზაციისა და შიდა კონტროლის მექანიზმების საშუალებით, მიზანშეუწონელი დანახარჯების შემცირებით. კერძოდ, მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხულ შერჩეულ 6 ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გამოვლინდა 16 შემთხვევა, როდესაც უფლებამოსილი პირ(ებ)ი არ იმყოფებოდა მივლინებაში, თუმცა ავტომანქანა დაფიქსირებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. აღნიშნულ შემთხვევებზე უფლებამოსილი პირები ვერ განმარტავენ სამსახურებრივი ავტომობილის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ყოფნის მიზეზებს.⁶³ ამასთანავე, კონტროლს მიღმაა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში წარმომადგენლების სარგებლობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე⁶⁴ გამოყოფილი საწვავის ხარჯვის საკითხი,⁶⁵ სადაც ვერ იქნა წარმოდგენილი გაცემული საწვავის სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისათვის ხარჯვის დოკუმენტური დადასტურება,⁶⁶ რაც ქმნის საჯარო რესურსების არამიზნობრივად ხარჯვის რისკებს. აღნიშნულ შემთხვევაშიც, საწვავის ჩასხმის შემთხვევები ფიქსირდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.⁶⁷

ხარვეზები ფიქსირდება სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების შესყიდვებთან დაკავშირებით. ა(ა)იპ – ქობულეთის სანდასუფთავების მიერ გამოცხადებული ტენდერები 2019-2020 წლებში ჩატარებულია უკონკურენტო გარემოში, ერთი მონაწილის პირობებში: 2019 წელს გამოცხადებულ ტენდერებში⁶⁸ ყველა შემთხვევაში გამარჯვებულია ერთი ინდემწარმე, ხოლო 2020 წელს გამოცხადებულ ტენდერში⁶⁹ – სხვა ინდემწარმე, თუმცა ორივე ინდემწარმე საქმიანობს ერთსა და იმავე მისამართზე და სარგებლობს ერთი და იგივე ტექნიკური საშუალებებით. გამოცხადებული ტენდერების ანალიზი ცხადყოფს, რომ რიგი სატენდერო მოთხოვნები შეიცავს კონკურენციის შეზღუდვის რისკებს, რაც უკონკურენტო

⁶³ გახარჯულია 1,129 ლარის ღირებულების 560 ლიტრი საწვავი.

⁶⁴ აღნიშნულ პირებზე საწვავი გაიცემა აგაის სისტემით, VIP ბარათების საშუალებით (ნომრის მითითების გარეშე).

⁶⁵ 21 ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გახარჯულია 18,431 ლარის ღირებულების საწვავი.

⁶⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 18 აპრილის N230 ბრძანების „ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებულ ძირითად საშუალებაზე (ავტოსატრანსპორტი, სპეცტექნიკა და სხვა) გახარჯული საწვავის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის წესის“ დამტკიცების თაობაზე, შესაბამისად.

⁶⁷ გახარჯულია 559 ლარის ღირებულების 334 ლიტრი საწვავი.

⁶⁸ NAT190001883; NAT190009706; NAT190018378.

⁶⁹ NAT200001950; NAT200012750.

ტენდერების მიზეზი ხდება. კერძოდ, ყველა ტენდერში მოთხოვლია, რომ იმ ავტოსატრანსპორტო ნაწილების, რომლებიც არ მოიპოვება ადგილობრივ ბაზარზე, შემენის/მიწოდების და დაყენების ვადა განისაზღვრება არაუმეტეს 10 სამუშაო დღით. საზღვარგარეთ შესყიდვის, ტრანსპორტირებისა და საბაჟო გაფორმების გონივრული ვადების გათვალისწინებით, 10 სამუშაო დღეში სათადარიგო ნაწილის მიწოდება და მონტაჟი არსებითად რთულია. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციის განმარტებით, ასეთი სახის სათადარიგო ნაწილის შესყიდვის საჭიროება არცერთ შემთხვევაში არ დამდგარა, თუმცა მოთხოვნა მაინც ყველა ტენდერში დარჩა. უკონკურენტო ტენდერების გამო, რიგი მომსახურების ფასები⁷⁰ მნიშვნელოვნად აღემატება ბაზარზე არსებულ საშუალო ფასებს. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შეუსაბამოდ მაღალი ფასი გადახდილია ისეთ მომსახურებებზეც კი, რომელთა საბაზრო ფასი წინა წლის შესყიდვებიდან გამომდინარე, ცნობილი იყო.⁷¹ 2020 წლის მომსახურების ფარგლებში გაწეულია არანაკლებ 1,850 ლარის არაეკონომიური ხარჯი. სულ – 2019-2020 წლებში სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების ხარჯებისთვის, მხოლოდ აღნიშნულ ორ ინდემწარმეზე, ჯამში გადახდილია 104,021 ლარი. შიდა კონტოლის ეფექტიანი მექანიზმების არარსებობის პირობებში, როდესაც რიგ შემთხვევებში არ ფორმდება დეფექტური აქტი და არ კონტროლდება სათადარიგო ნაწილების შეცვლის მიზეზები, არსებობს არაეკონომიური და არამიზნობრივი ხარჯვის რისკები.

შიდა კონტოლის სისუსტის გამო, სათანადოდ არ მიმდინარეობს სათადარიგო ნაწილების შეცვლის მიზეზების მონიტორინგი. მაგალითად, ავტოსატრანსპორტო საშუალების მიღებიდან ორ თვეში შეიცვალა რიგი სათადარიგო ნაწილები, ხოლო ორი თვის გასვლის შემდეგ, იგივე ნაწილები კვლავ შეცვლილია.⁷² აღნიშნულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე 2019 წლის დეკემბერსა და 2020 წლის იანვარში ჩატარებულია გარე ნაწილის სარემონტო სამუშაოები. მოპოვებული მტკიცებულებებით, სატრანსპორტო საშუალების დაზიანების მიზეზი ავტოსატრანსპორტო შემთხვევაა. ორგანიზაციისთვის მიყენებული ზიანი შეადგენს 7,126 ლარს, რაზეც რეაგირება არ მომხდარა.

აღსანიშნავია, რომ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ბაზრის კვლევის გარეშე, სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებით ხელშეკრულებები გაფორმებულია ასევე შპს „ურბან მოტორსთან“⁷³ და შპს „ჯითი გრუპთან“.⁷⁴ ხელშეკრულების გაფორმების დროს არ იქნა შესწავლილი ადგილობრივ ბაზარზე არსებული ფასები. შედეგად, გაწეულია არანაკლებ 9,317 ლარის არაეკონომიური ხარჯი.⁷⁵

აღსანიშნავია, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტს ამ დრომდე არ შეუძლავია მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის თაობაზე ნორმატიული აქტი,

⁷⁰ მაგალითად, ჰაერის ფილტრის ერთეულის ფასი - 595 ლარი (საცალო ფასი ქსელურ მაღაზიაში - 220 ლარი).

⁷¹ მაგალითად, ზეთის შეცვლისთვის თითოეულ ლიტრზე გადახდილია 10 ლარი, როდესაც მანამდე არსებული ხელშეკრულებებით ზეთის მთლიანი შეცვლის ღირებულება შეადგენდა 10 ლარს.

⁷² საწვავის ფილტრი, ძრავის ხუფის ფილტრი, გაგრილების სისტემის ფილტრი, საჭის მექანიზმის ფილტრი და ა. შ.

⁷³ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N6, 08/02/2019 (ხელშეკრულების ღირებულება - 5,000 ლარი); სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N22, 14/06/2019 (ხელშეკრულების ღირებულება - 10,000 ლარი).

⁷⁴ მომსახურების ხელშეკრულება N6, 22/01/2020 (ხელშეკრულების ღირებულება - 25,000 ლარი); მომსახურების ხელშეკრულება 13/09/2019 (ხელშეკრულების ღირებულება - 4,000 ლარი).

⁷⁵ ხარჯები გაწეულია, მათ შორის, ტექნიკური ჯგუფის ადგილზე მომსახურებაზე, რომლის ხარჯი თითოეულ შემთხვევაში დამატებით 462 ლარიდან 924 ლარამდე შეადგენს.

რაც მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს სფეროს რეგულირებას.⁷⁶

დასკვნა

მუნიციპალური ავტოპარკის მართვასთან დაკავშირებით რეგულაციის არარსებობის გამო, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 19,560 ლარის ღირებულების საწვავის სამსახურებრივი დანიშნულებით ხარჯვა არ დასტურდება. ასევე ა(ა)იპ – ქობულეთის სანდასუფთავების მიერ სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებით გაწეულია არანაკლებ 11,167 ლარის არაეკონომიური ხარჯი. ზემოაღნიშნული გარემოებები წარმოშობს საბიუჯეტო რესურსების არამიზნობრივი განკარგვის რისკებს.

რეკომენდაცია N8

ავტომობილების საჭიროების მიხედვით გადანაწილებისა და ავტოპარკზე გასაწევი ხარჯების შემცირების უზრუნველსაყოფად, მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს ტრანსპორტის ხარჯების ოპტიმიზაციის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ავტოპარკის ოპტიმალური გადანაწილების, კლასიფიცირების, ზღვრული ოდენობისა და ხარჯების კონტროლს და უზრუნველყოფს, თავიდან იქნეს აცილებული საწვავის არასამსახურებრივი მიზნებისათვის გამოყენების შემთხვევები.

2.6 სასმელი წყლის ხარისხის შიდა კონტროლი და მონიტორინგი

2.6.1 მონიტორინგის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: სასმელი წყლის ხარისხის შიდა კონტროლი და მონიტორინგი ხორციელდება წყლის მიმწოდებლის მიერ.⁷⁷ წყალმომარაგების სისტემაში წყლის დამუშავების პროცესში გამოყენებული და წარმოქმნილი მავნე ქიმიური ნივთიერებების შემცველობა უნდა შეესაბამებოდეს სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.

ფაქტობრივი გარემოება: ა(ა)იპ – ქობულეთის სოფლის წყალი უზრუნველყოფს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლების წყლით მომარაგებას. ორგანიზაცია, სხვა ვალდებულებებთან ერთად, საკუთარი მქლორავი-ოპერატორების მეშვეობით, უზრუნველყოფს წყლის რეზერვუარების დაქლორვას. ორგანიზაციას არ აქვს შემუშავებული და დანერგილი შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პროცედურის განხორციელებას სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად. მათ შორის, არ დგინდება, იცავენ თუ არა კანონმდებლობით განსაზღვრულ ქრონომეტრაჟს, რადგან სათანადოდ არ აღირიცხება ჩატარებული ოპერაციები. აგრეთვე, მოპოვებული მტკიცებულებებით ირკვევა, რომ 11 ჰაბურდილიდან ფუნქციონირებს 10 ჰაბურდილი, ხოლო 6 მათგანიდან სასმელი წყალი მიეწოდება სათანადო ლაბორატორიული შემოწმების გარეშე. გარდა ამისა, კლიმატური პირობების გაუარესებასთან ერთად, ფიქსირდება უხარისხო სასმელი წყლის მიწოდების ან/და მიწოდების შეწყვეტის ფაქტები.

დასკვნა

ა(ა)იპ – ქობულეთის სოფლის წყლის მიერ სათანადოდ არ ხორციელდება სასმელი წყლის ხარისხის კონტროლი და მონიტორინგი, რაც ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემის სისუსტეზე მიუთითებს და წარმოშობს საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანი ხარჯვის რისკებს.

⁷⁶ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით ეთხოვათ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის“ თაობაზე მიიღონ ნორმატიული აქტი, მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესისა და პრინციპების შესაბამისად.

⁷⁷ სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტი, მუხლი 3, პუნქტი 1.

რეკომენდაცია N9

ა(ა)იპ – ქობულეთის სოფლის წყალმა, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიასთან კოორდინაციით, შეიმუშაოს შიდა კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სასმელი წყლის მიწოდების ხარვეზების დროულ გამოვლენას, მიზეზების შესწავლას და ადეკვატურ რეაგირებას, ასევე წყლის ხარისხის რეგულარულ მონიტორინგს.

2.7 დასუფთავების

მოსაკრებელი

2.7.1 მოსაკრებლების

ადმინისტრირების

ხარვეზები

კრიტერიუმი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით⁷⁸ განსაზღვრულია დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების პირობები და ოდენობა. მოსაკრებლის ადმინისტრირება ევალება მერიის ზედამხედველობის სამსახურს.

გამოვლენილი გარემოება: 2019 წელს მუნიციპალიტეტში დასუფთავების მოსაკრებლის სახით მიღებულია 303,170 ლარი, ხოლო 2020 წელს – 186,568 ლარი.⁷⁹ 2019 წელს აღნიშნული მოსაკრებლის 97%, ანუ 295,400 ლარი გადახდილია რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტებისგან, ხოლო დანარჩენი 7,770 ლარი – ფიზიკური პირებისგან, რომლებიც სეზონურად საქმიანობენ. მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, 2019 წელს აღრიცხული იყო ამ კატეგორიის 119 ობიექტი. აქედან, 20 პირს საერთოდ არ ჰქონდა გადახდილი დასუფთავების მოსაკრებელი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მერიას სრულად არ აქვს აღრიცხული მსგავსი ტიპის ობიექტები.

2020 წელს ამოღებული დასუფთავების მოსაკრებელი 2019 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად, 40%-ით შემცირდა და შეადგინა 186,568 ლარი. აღნიშნული განპირობებულია ახალი კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ზოგიერთი დაწესებულების ფუნქციონირების შეჩერების გამო, შესაბამისად შეჩერდა საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მიზნით გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების მოქმედების ვადა.⁸⁰

რაც შეეხება მოსახლეობიდან დასუფთავების მოსაკრებლის ამოღებას, აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 2019-2020 წლებში ამ მიმართულებით არ ხორციელდებოდა⁸¹ ღონისძიებები. აღნიშნულ საკითხზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაიცა რეკომენდაცია, თუმცა გადასახადის ადმინისტრირება არ იქნა მოწესრიგებული. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტმა მოსაკრებლის მაქსიმალურად ამოღების უზრუნველსაყოფად, ადმინისტრირების ორგანიზება მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით⁸² დაავალა შპს „ქობულეთის წყალს“. აღნიშნული სქემით, ფიზიკური პირისათვის მოსაკრებლის გადახდის ქვითარი უნდა გამოწერილიყო შპს „ქობულეთის წყლის“ მიერ წყლისა და კანალიზაციის მომსახურების გადასახადის ქვითართან ერთად საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ იმ უძრავ ქონებაზე, სადაც წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენი. აუდიტის ობიექტის განმარტებით, ადმინისტრირების ორგანიზება დღემდე ვერ განხორციელდა, რასაც ხელი შეუშალა სხვადასხვა გარემოებამ, მათ შორის, ქვეყანაში შექმნილმა ეპიდემიოლოგიურმა ვითარებამ.

⁷⁸ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 17 მარტის N20 დადგენილება „ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ“.

⁷⁹ დარიცხულია 2019 წელს 350.2 ათასი, ხოლო 2020 წელს - 242.5 ათასი ლარი.

⁸⁰ 2020 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 იანვრამდე 355 ობიექტს შეუჩერდა ხელშეკრულება.

⁸¹ 2019 წელს საკუთარი სურვილით - მხოლოდ ორ ფიზიკურ პირს, ხოლო 2020 წელს ერთ ფიზიკურ პირს აქვს გადახდილი სულადობრივი გადასახადი, ჯამში - 36 ლარი.

⁸² ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 აპრილის N9 დადგენილება.

დასკვნა	ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ სრულად არ არის აღრიცხული სულადობრივი განაკვეთის მიხედვით დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა რაოდენობა და შედეგად, არ ხორციელდება გადასახადის ადმინისტრირება.
რეკომენდაცია N10	დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების გასაუმჯობესებლად, მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა სრული ბაზის შექმნას, მათ შორის, დიფერენცირებული განაკვეთის მიხედვით. აღნიშნული ხელს შეუწყობს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.
2.8 საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურება	კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ.
2.8.1 დასაბუთების გარეშე ხარჯების ანაზღაურება	„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, ⁸³ მას შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორცაა, საკრებულოსა და კომისიის სხდომების, დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის მიღების, ამომრჩეველთან შეხვედრების, ასევე საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის ცალკეული დავალების შესრულებისათვის საჭირო ხარჯები. გაწეული ხარჯის ანაზღაურება ხორციელდება შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის საფუძველზე.
დასკვნა	ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრებს, რომლებიც არ არიან საკრებულოს თანამდებობის პირები, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად, თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, ეძლევათ არა ფიქსირებული გასამრჯელო, არამედ უნაზღაურდებათ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად, თანხის გაცემის საფუძველი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი ნორმების შეუსაბამოდ, 2019-2020 წლებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ ჯამში ანაზღაურებულია 238,975 ლარი. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი საკრებულოს წევრების მიერ გაწეული ხარჯების დასადასტურებლად. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ საკრებულოს წევრებზე თანხების გაცემა ვერ ჩაითვლება წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურებად, რადგან საფუძველად არ უდევს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი.
დასკვნა	ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2019-2020 წლებში მოქმედი მარეგულირებელი ნორმების შეუსაბამოდ, დოკუმენტური დასაბუთების გარეშე, საკრებულოს არათანამდებობის პირებზე გადახდილია ჯამში 238,975 ლარი.
რეკომენდაცია N11	მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედი კანონმდებლობის

⁸³ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 41.

მოთხოვნებთან. შესაბამისად, ხარჯების ანაზღაურება განხორციელდეს სათანადო დოკუმენტების წარმოდგენის პირობებში.

2.9 შიდა კონტროლის სისტემა

2.9.1 შიდა აუდიტის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: შიდა აუდიტის სამსახურის მიზანია დაეხმაროს მუნიციპალიტეტს იმ პოლიტიკებისა და პროცედურების განხორციელებაში, რაც მოწესრიგებული და ეფექტიანი მართვის მიზნით დაადგინა ხელმძღვანელობამ, მათ შორის, აქტივების დასაცავად, თაღლითობისა და შეცდომების აღმოსაჩენად და თავიდან ასაცილებლად, ბუღალტრული აღრიცხვის ჩანაწერების სიზუსტისა და სისრულის უზრუნველსაყოფად, ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად და სხვ. დასახული ამოცანების მისაღწევად, შიდა აუდიტის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ზრდას.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურმა 2019-2020 წლებში ჩაატარა 15 აუდიტორული შემოწმება. ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლენილია სხვადასხვა შინაარსის დარღვევა-ნაკლოვანება, რომელთა გამოსწორების მიზნით გაცემულია რეკომენდაციები. თუმცა შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შედეგად, ვერ გამოვლინდა კონტროლის მექანიზმების ის სისუსტეები და ისეთი სისტემური ხარვეზები, რომლებიც დაფიქსირდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტის შედეგად. კერძოდ, მიმდინარე აუდიტის პერიოდში გამოვლინდა შესყიდვების მართვაში, საწვავის ხარჯვაში, შრომის ანაზღაურების გაცემასა და სხვა მიმართულებით არსებული ხარვეზები და რისკის შემცველი სხვა გარემოებები.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემა სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შესრულების მონიტორინგის, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის და ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობას.

რეკომენდაცია N12

მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს და დანერგოს შიდა კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პროცესებში არსებული რისკებისა და სისტემური ხარვეზების გამოვლენას, ანალიზსა და შეფასებას, ხოლო მიღებული შედეგების საფუძველზე, შესაბამისმა სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები და განხორციელოს შესრულების ეფექტიანი მონიტორინგი.

2.10 წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების მდგომარეობა

მუნიციპალიტეტის 2018 წლის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებებზე გაცემულია 12 რეკომენდაცია.

მუნიციპალიტეტის მიერ დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსასწორებლად განხორციელებულია სხვადასხვა აქტივობა, თუმცა რიგ საკითხებთან დაკავშირებით, არ არის გატარებული საკმარისი და შესაფერისი ღონისძიებები, კერძოდ:

- არ არის გატარებული ღონისძიებები თავისუფალი და გამოუყენებელი საბიუჯეტო რესურსების ათვისებასთან დაკავშირებით, რომელიც 2018 წელთან შედარებით 2019-2020 წლებში კიდევ უფრო გაიზარდა;
- არ შეცვლილა მდგომარეობა დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით;

- საკრებულოს არათანამდებობის წევრების უფლებამოსილების განხორციელებისათვის გაწეულ ხარჯებზე არ არის წარმოდგენილი ხარჯის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტები;
- არ არის აღმოფხვრილი სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას არსებული ნაკლოვანებები, რომლებიც დაკავშირებულია ბაზრის კვლევასთან, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციებთან, ხარისხის კონტროლთან, საგარანტიო ვადებთან, გარე განათების ტექნიკური მომსახურების შესყიდვებთან და სხვ.

აუდიტორები

ხელმოწერა

ჰენრი სანიკიძე

მთავარი აუდიტორი

გოჩა შარაბიძე

მთავარი აუდიტორი

მაია მუჯირიშვილი

უფროსი აუდიტორი

ავთანდილ აბაშიძე

აუდიტორ-ასისტენტი

ურა პაპუკაშვილი

აუდიტორ-ასისტენტი

რუსუდან ბოლქვაძე

აუდიტორ-ასისტენტი

დანართი

ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების დროს აქტივების დემონტაჟის შესახებ

N	პროექტის დასახელება	ხელშეკ. ნომერი და თარიღი	შესრულებული სამუშაოს დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა
1	დაბა ჩაქვში აღმამენებლის ქუჩის კეთილმოწყობა	N46 28/02/2019	არსებული დეკორატიული ფილის დემონტაჟი	მ²	475
			არსებული შემოღობვის დემონტაჟი, ადგილზე დასაწყობებით	მ²	170
			არსებული სანიაღვრე მიწების დემონტაჟი, ადგილზე დასაწყობებით	მ	190
2	სანაპირო ზოლში პარკის მოწყობა	N49 04/03/2019	არსებული ბაზალტის ფილების დემონტაჟი, დასაწყობებით	მ²	165
			არსებული ბაზალტის ანაკრები ბორდიურების დემონტაჟი, დასაწყობებით	მ³	18
			არსებული ბეტონის ანაკრები ბორდიურების დემონტაჟი, დასაწყობებით	მ³	31
			არსებული ლითონის განათების ბოძების დემონტაჟი, დასაწყობებით	ცალი	45
3	სოფელ ხუცუბნის ცენტრის კეთილმოწყობა	N69 28/03/2019	დაზიანებული ბაზალტის ბორდიურების დემონტაჟი, დასაწყობება	გრძ/მ	1700
4	მუზეუმის მოპირდაპირე სკვერის კეთილმოწყობა	N72 04/04/2019	არსებული საპარკე სკამების დემონტაჟი, დასაწყობებით	ცალი	8
			არსებული განათების ბოძების დემონტაჟი, გადანაწილება შემდგომი მონტაჟით	ცალი	10
5	ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებული სტადიონების რეაბილიტაცია	N162 21/08/2019	არსებული დაზიანებული ხელოვნური საფარის აღება და დასაწყობება დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილას	მ²	830
6	დაბა ოჩხამურში სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები	N32 10/02/2020	არსებული ლითონის ღობის დემონტაჟი, დასაწყობებით	მ²	312
7	დაბა ჩაქვის ცენტრის კეთილმოწყობა	N60 06/03/2020	არსებული ასფალტბეტონის საფარის დაშლა და დასაწყობება შემდგომი გამოყენებისთვის	მ²	2760
			მონაფრეზის გატანა და დასაწყობება ბაზაზე	ტონა	728
8	სანაპიროს რეაბილიტაცია, მეორე ეტაპი	N76 18/03/2020	არსებული საპარკე სკამების დემონტაჟი, დასაწყობებით	ცალი	75
			არსებული სანაგვე ურნების დემონტაჟი, დასაწყობებით	ცალი	38

საკონტაქტო ინფორმაცია**ვებგვერდი და
სოციალური მედია**

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE